პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

1 ნოემბერი
სამშაბათი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და ფასთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

საბჭოთა რუსეთმა ნოტით მიმართა ანტანტის სახელმწიფოებს, რომ ის მზათაა იცნოს რუსეთის მეფის მთავრობის მიერ აღებული ომამდე ვალები, თუ ეს სახელმწიფოები ხელს აიღებენ ყოველგვარ მოქმედებაზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, იცნობენ საბჭოთა მთავრობას და აღადგენენ მასთან პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას.

№ 200 სამშაბათი, 1 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 1 ნოემბერი, 1921 წ. № 200

მცარცველებს ქრთამი მოსწყურდათ

ჩვენს გაზეთში უკვე იყო გაკვრით აღნიშნული ის ზანდუკი, რაიც დაატრიალეს ბურჟუაზიულ ევროპაში გადაბარგებულ მენშევიკებმა საქართველოს რკინის გზების ძვირფას მასალის ირგვლივ. ჟორდანია—ჩხეიძის უმწიკვლო დემოკრატიული ნამუსი არ შედრკა მრავალი სიცრუის და ტყუილის წინაშე: ბიუროიდან სასტიროო მოწოდებებში მათ შეძვეწვრდომილებათ გამოუცხადეს დასავლეთის იმპერიალისტებს, რომ საბჭოთა წყობილების შემოღების შემდეგ საქართველოს რკინის გზები მოისპონ, რომ მათი ექსპლოატაცია ნულამდის დავიდა. იმპერიალისტები ბრმათ ხომ დაესიკიყონ ასეთ ამბის გამოხვებზე: საქართველოს რკინის გზები ხომ ის ძარღვი უნდა იყოს, რომელიც იმპერიალიზმის გავლენას გაატარებს ამიერ-კავკასიის კორიდორით შუააზიისაკენ მენშევიკების ენერგიული დახმარებით. მაშასადამე— ჩემთა დახმარება ქართველ მენშევიკებს ჩვენთა შოვინისტთა ჯარები მისევა საბჭოთა საქართველოზე, რათა „დემოკრატიული“ წყობილების ხელახლა დამყარებით იმპერიალიზმის ის ბრჭყალებიანი თითი გამოცოცხლდეს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ასე უცერემონიოთ მოკვეთა აქ ამიერ-კავკასიაში!—ამაზე ოცნებობდა მენშევიკური პარტია, როცა სიცრუის კონაში რკინის გზების განადგურების ცხელი ამბავიც ჩაწნა.

მაგრამ ვთქვათ, რომ საქართველოს რკინის გზები მართლა განადგურებულია, რომ მათი ექსპლოატაცია ნულამდისაა დაყვანილი, რომ არც სამხედრო უწყება, არც სასურსათო ორგანოები, არც მეურნეობის საბჭო არ სარგებლობენ რკინის გზებით, რომ არც ქუთაის—ფოთი—ბათომისაკენ და არც ბაქო—ერევნისაკენ აღარაა მგზავრთა მიმოსვლა. ვის დაუდეპოთ ბრალად ეს განადგურება? რაღა თქმა უნდა მენშევიკებს, რომლებმაც რკინის გზა აზერბეიჯან—სომხეთის საზღვრებიდან მოკიდებული საჯევახომდე მთლად გაძარცვეს და მილეწ-მოლეწეს; არ დასტოვეს ხელ უხლებელი არც ერთი სადგომი, გაიტაცეს არა მარტო ტელეგრაფ-ტელეფონის აპარატები, არამედ ავეჯეულობაც კი. არ დაივიწყეს საათების და ზარების მოხსნაც. ააფეთქეს 16 დიდი და პატარა ხი- [illegible] ნები საქართველოდან გადარეკეს ბათომისაკენ, მოპარეს ისრები და სხ. და თუ ყოველივე ვერ გაიტანეს სტამბოლში, მხოლოდ იმიტომ რომ „ნოეს კიდობანმა“ ვერ ჩაიტია სხვა ნაცარცვ სიმდიდრესთან ერთად ორთქმავლები და ვაგონებიც. ყოველივე ეს მინგრეულ-მონგრეული დარჩა დაზიანებულ ხაზზე და მხოლოდ წითელი ჯარის ენერგიამ და საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობამ სულ რამდენიმე დღის განმავლობაში შეაკეთა, გამწყობრიგა და რკინის გზებიც აამუშავდა. მენშევიკების ბარბაროსობისა და ყაჩაღობის ნიშნები დღესაც აჩნია ჩვენს რკინის გზებს. მაგრამ მენშევიკების ყაჩაღობის ერთი უდიდესი შედეგი დღესაც დამლეული არ არის და ჩვენი რკინის გზების უდიდესი ფართო ჭრილობა ახლაც პირმშრალი არ არის. მენშევიკებმა გაიტაცეს ის აუარებელი დაუფასებელი ხარკინიგზო მასალა, რომელიც გადატრიალების წინადღეებში მოიტანა ფოთში გერმანიის გემმა „მადერას“-მა. ეს მასალა ღირდა მაშინ 350 ათასი მანეთი ოქროთი. მასალა შეძენილი ჰქონდა საქართველოს რკინის გზების სამინისტროს, ფასი ანაზღაურებული ჰქონდა გამყიდველ ფირმას „ჰერმეს“-ს. მენშევიკებმა გადმოტვირთული მასალა ხელ-ახლა გადაიტანეს იმავე გემზე და თან გაიყოლიეს. გემმა შესძლო სტამბოლს გაცილებოდა, მენშევიკებსა და ანტანტის სხვა აგენტებისათვის თავი დაეღწია და მიეშურა ქ. ბრემენს. როგორც ფირმამ, ისე გერმანიის მთავრობამ იცნო საქართველოს საბჭოთა მთავრობის სრული უფლება ამ მასალაზე, რის მისაღებათ და საქართველოში ჩამოსატანათ საზღვარ გარეთ გაგზავნილ იქმნა სპეციალური კომისია ამხ. კასგ.-ს და ელბაქიძის მეთაურობით. მაგრამ პოლიტიკურ ზნეკუესტებმა, საქართველოს მშრომელი ხალხის გამცემ-გამყიდველებმა ჯიბგირობას არ გამოეთხოვეს: მენშევიკების იტალიელ კონსულმა ჟორდანიას „მთავრობის“ სახელით მოითხოვა „მადერას“-ის ტვირთი, რაზედაც ფირმამ უარი უთხრა. ჟორდანიას აგენტებმა ქ. ბრემენის სასამართლოში საჩივარი აღძრეს და სარკინიგზო მასალის დაჭერა შესძლეს. თანხმობას აცხადებენ „მინაფუროდ“ მენშევიკურათ, ე. ი. ჯიბგირულად საქმის გათავებაზე: ითხოვენ 35 ათას გირვანქა სტერლინგს! ჟორდანია-რამიშვილ-ჩხეიძეს ამჟამს მადა ბექე კარგი ჰქონდა, განათლებულ ევროპაში ხომ სულ გადიდკაცდენ, კეთილი ცხოვრება შეეჩვიათ, თან საბჭოთა საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისათვის ზედმეტი ოქრო დასჭირდებათ და განა ხელიდან გაუშვებენ ასეთ შემთხვევას? განა შერცხვებათ ან შეეშინდებათ იმის, რომ ასეთი ქრთამი, ასეთი ყაჩაღობა საქართველოს მშრომელებს დააწვება კისერზე და ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო დაუმძიმებს!

მაგრამ საქართველოს საბჭოთა მთავრობა შორს არის ფიქრიდან საქართველოს მუშების და გლეხების ხარჯზე უზრუნველჰყოს მენშევიკების ფუფუნება და კმაყოფილება, ასეირნოს ბურჟუაზიის ექსპრესებში ქალაქიდან ქალაქში, სახელმწიფოდან სახელმწიფოში მუშურ-გლეხური დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამიტომ არავითარი მოლაპარაკება და შუამდგომლობა მენშევიკებსა და საქართველოს რკინისგზების უწყების შუა დაშვებული არ იქნება. გატაცებული სარკინიგზო მასალა საბჭოთა საქართველოს უდაო კუთვნილებაა და არა იმ შაიკის, რომელმაც ათასგვარი სისხლის სამართლის საქმე ჩაიდინა და ევროპაში დღეს თავი მოაქვს საქართველოს მესაკუთრეთ, სურს თავი დაარწმუნოს, რომ ის ბელგიის მთავრობის ბედშია ჩავარდნილი.

ეს უნდა იცოდეს საქართველოს მშრომელმა ხალხმა. მან უნდა იცოდეს, თუ ვინ მიაყენა უდიდესი ზიანი საქართველოს რკინისგზებს და ვინ ცდილობს ახლაც ცუდლუტობით და მზაკვრულ ქურდობით დაიტაცოს ამ რკინისგზებისათვის აუცილებლად საჭირო ძვირფასი მასალა.

ამ გარემოებას საბოლოო ანგარიში უნდა გაუწიოს აგრეთვე გერმანიის წარმომადგენლებმა საქართველოში და სწრაფი, ნამდვილი ზომების მიღებით მძარცველების მადა ალაგმოს.

კიდევ სასურსათო გადასახადის შესახებ

მუშაობა სასურსათო გადასახადის ცხოვრებაში გასატარებლათ გაცხოველებული ტემპით სწარმოებს. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ საქმეში ყველაფერი თავის რიგზეა. საქმე იმაშია, რომ ზოგი მაზრები უფრო სწრაფათ და კარგათ ატარებენ ცხოვრებაში სასურ. გადასახადის შესახებ დეკრეტებს, ზოგი ამა თუ იმ მიზეზების გამო, ინდიფერენტულათ ეპყრობიან საქმეს, ზოგ მაზრაში არ ჰყავთ გამოცდილი მუშაკები და სხვა. ამის შედეგი ის არის, რომ გადასახდელთა სიები მთელ რიგ მაზრებში ჯერ კიდევ არ არის შედგენილი. ეს გარემოება ჩვენ გვაიძულებს როგოებს იმ მხრით, რომ ამის გამო იძულებულნი ვართ ისევ სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში დავტოვოთ რაიონები, შეუძლებელია ქალაქსა და სოფელს შორის წესიერი პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის დამყარება, იძულებულნი ვართ სასურსათო გადასახადის მოგროვებამდის მივცეთ უფლება თავისუფლათ გაზიდონ კაკალი, ყველი, ერბო და სხვა. ამგვარათ სასურსათო გადასახადი დამოკლეს მახვილსავით ჰკიდია მიღებული გლეხის მეურნეობაზე და არ აძლევს მას ნებას თავისუფლათ გადაცვალოს თავისი პროდუქტები; ეს კი არც გლეხობის და არც სახელმწიფოს ინტერესებს არ შეესაბამება.

ბევრი მიზეზები უშლიან ხელს სასურსათო ორგანოებს გადასახადის ცხოვრებაში სწრაფათ გატარებას. აღვნიშნოთ რამოდენიმე მათგანი:

პირველად ყოვლისა სიების შედგენის საქმეს თვით გადასახადის გამღებნი აბრკოლებენ იმით, რომ იძლევიან ყალბ ცნობებს, რის გამოც ბევრ რაიონებში ერთი და იგივე სამუშაო რამდენჯერმე უნდა გაკეთდეს. ამას უწყობენ ხელს ერთი მხრივ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, მეორე მხრით სპეკულიანტები, რომლებიც მენშევიკურ მთავრობის ბატონობის დროს შეეჩვივნენ მცხოვრებთა ცარცვას, მაშასადამე სასურ. გადასახადის ცხოვრებაში გატარების პროცესი არის მუშა გლეხთა სახელმწიფოს ბრძოლის პროცესი სპეკულიაციასთან. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგის დამარცხება ნიშნავს სამეურნეო ფრონტზე გამარჯვების მოპოვებას.

მონოპოლია ამა თუ იმ პროდუქტებზე სცემს სპეკულიანტის ჯიბეს, რადგანაც მას არა აქვს ამ პროდუქტების შესყიდვის უფლება.

სასურსათო გადასახადის მოგროვება კი სავსებით სპობს მას, რადგანაც იგი ვეღარ შესძლებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების განსაცვლელ ფასით გაყიდვას. ამიტომ არის, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან გადასახადის მოგროვების ხელის შეშლაში. მათ წინააღმდეგ საჭიროა ენერგიული ბრძოლა, ბრძოლისათვის კი ჩვენ არ გვყავს მომზადებული პირები, რომლებიც შესძლებენ ამ ბრძოლის წარმოებას. მუშათა სიმცირე, ეს ხომ ჩვენი საერთო ავათმყოფობაა. სახალხო სასურსათო კომისარიატმა უკვე დიდი ხანია მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ამიტომ მოაწყო სპეციალური სასურსათო კურსები სასურსათო მუშაკთა კადრის გასადიდებლათ. კურსანტები იგზავნებოდნენ ადგილებზე სასურსათო მუშაობისათვის. ამას გარდა პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მოახდინა რამოდენიმე ამხანაგების მობილიზაცია, ისინი სათანადო ინსტრუქციების მიღების შემდეგ, გაგზავნილ იქმნენ პროვინციაში. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ინსტრუქტორები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასურსათო გადასახადის მოგროვების აპარატის წესიერ მოწყობაში. ერთი სიტყვით ყველა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ დაწყებული კამპანია წარმატებით დამთავრდეს და საბოლოოთ იქმნეს დამლეული ჩვენი სიზანტე და საქმის უცოდინარობა. მაგრამ ჩვენ აქ ვხვდებით ერთ დაბრკოლებას, რომელსაც ისე ვერ ვადვილახავთ, თუ ცენტრმა არ მიიღო სასტიკი ზომები ადგილების მიმართ და არ მისცა მათ შესაფერისი განკარგულებანი: ვერც კი მოასწრებენ ჩვენი ინსტრუქტორები შესაფერის ინსტრუქციების მიცემას სამ. სასურ. კომისრებისათვის, რომლებიც სამაზრო საგადასახადო კომისიების სათავეში სდგანან, რომ რევკომი სცვლის მათ და ახლებს ნიშნავს.

მოგვყავს დასახასიათებლად ქუთაისის რევკომის დადგენილება 14 ოქტომბრის სხდომაზე—ოქმი № 94: „მოისმინეს სამსასურკომის კოლეგიის შესახებ. გამოირკვა სასურგადასახადის 10 პროც. ჩატარების და სხვა დამკვრულ მიზნების შესრულების შეუძლებლობა თუ კოლეგიის დღევანდელი შემადგენლობა დარჩება. დაადგინეს: დაინიშნოს სამსასურკომისრათ ამხ. ქაცარავა, იმის მოადგილეთ ამხ. შალვა ჩხეიძე, ხოლო კოლეგიის წევრათ ამხ. კალანდაძე“.

როგორც სჩანს საკითხი ძლიერ მარტივათ სწყდება. დავალებები ვერ სრულდება და ამიტომ სცვლიან სამაზრო სასურ. კომისარს. რასაკვირველია, არსებითად ჩვენ არ ვლაპარაკობთ ამხ. ქაცარავას კანდიდატურის შესახებ, მაგრამ მაინც გვაინტერესებს კითხვა: ვინ იცის და ვინ უნდა გადასწყვიტოს საკითხები სამსასურ. კომისრების ვარგისობის თუ უვარგისობის შესახებ. ნუ თუ რევკომმა ცენტრზე უკეთ იცის რამდენათ არის შესაძლებელი დავალებათა ცხოვრებაში გატარება. ამ დავალებებს ხომ ცენტრი იძლევა და არა რევკომი. ბოლოს, ზემოთ მოყვანილ დადგენილებიდან სჩანს, რომ ქუთაისის რევკომმა დროც კი არ დაჰკარგა გაერჩია ის საკითხი, თუ რაში მდგომარეობდა ცენტრის სასურ. ორგანიზაციის მიერ სამაზრო კომისრებისათვის მიცემული დავალებები.

მართალია, რომ საქმის შესახებ არის ლაპარაკი დადგენილებაში. ნუ თუ რევკომის წევრები ჰფიქრობენ, რომ ჩვენ გლეხებს ვახდევინებთ 10 პროც. გადასახადს, ეს ხომ აბსურდია. თუ მათ დეკრეტები ასე გაიგეს მაშინ უმჯობესი იქნება ნუღარ ჩაერევიან სასურსათო საქმეებში, რადგანაც დეკრეტების ასეთი გახმარტება უსიამოვნების მეტს არაფერს არ მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას.

რაჭის მაზრიდან მიღებული ცნობებით დადასტურებულია, რომ გლეხებს იქ ისევე გაუგიათ სასურსათო გადასახადის შესახებ დეკრეტები, როგორც ქუთაისის რევკომის წევრებს. ამიტომ იქ ძლიერ ძნელად სწარმოებს სიების შედგენა. ამ გაუგებრობათა გასაფანტათ ერთი ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგი გაემგზავრა ამას წინათ რაჭაში, იქ მან მისცა სამსასურკომისარს სათანადო ინსტრუქციები და მოაგვარა მუშაობა, მაგრამ დაბრუნების შემდეგ გზაშივე მიიღო ცნობა, რომ რევკომმა გადააყენა ძველი სამსასურკომისარი და ახალი დანიშნა. ამის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება ჩნდება, თითქოს რევკომებში ისეთი ხალხი სხედან, რომლებიც ძალით აბრკოლებენ გადასახადის ცხოვრებაში გატარებას.

ასეთი მდგომარეობის ატანა, განსაკუთრებით ამ მომენტში შეუძლებელია. სახალხო სასურსათო კომისრის თანხმობის გარეშე რევკომებს არ აქვთ სამსასურკომისრების გადაყენების უფლება, ისევე როგორც მათ არ შეუძლიანთ დამტკიცებაც ამ თანამდებობაზე.

სასურგადასახადის მოგროვების მომენტში ამ წესის დარღვევის ყოველგვარ შემთხვევას იძულებულნი ვიქნებით ვუყუროთ, როგორც სასურგადასახადის ცხოვრებაში გატარების ჩაშლის სურვილს.

ერქომაშვილი.

საბჭოთა რუსეთის პრესა

გალაშქრება უპარტიობის წინააღმდეგ.

„პოლიტიკა“ და „პარტიულობა“ აუცილებელია მუშათა კლასისათვის. ეს დასკვნა უნდა გააკეთოს თითეულმა მუშამ „უპარტიობის“ ნახევარი წლის ცდის შემდეგ.

ვინ ლაპარაკობს ამას? ვინმე კომუნისტი? არა, ამას ლაპარაკობს მენშევიკი დიმ. ჩერევსკი „სოციალისტური უწყებების“ მე № 17-ე წერილში მუშათა უპარტიობის შესახებ. რა მოხდა? რატომ მენშევიკებმა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ცდილობდნენ გამოეყენებიათ „უპარტიობის“ ლოზუნგები, ახლა მათ ზურგი შეაქციეს? ეს ძალიან ადვილათ აიხსნება: ისინი გაწბილდნენ უპარტიობის ნახევარი წლიან (უფრო სწორეთ რამოდენიმეჯერ უფრო დიდ ხნიან) ცდაში, რადგანაც მაზე მოულოდნელათ და მწარეთ ხელი დაიწვეს.

იყო დრო, როდესაც მენშევიკები (და მათი პოლიტიკური თანამოძმენი—ესერები) ცდილობდნენ უპარტიო მასებზე დაყრდნობას, გამოეყენებინათ რა მათი მეშჩანური და საკუთარ ტყავთან, ინტერესებთან დაკავშირებული განწყობილება. მაშინ წარმოიშვა ფაბრიკებისა და ქარხნების რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრებები, ხდებოდა ცდები პროფესიონალური კავშირების საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოსაყენებლად და სხვადასხვა. მენშევიკებმა (და ესერებმა) თანდათან დაიწყეს ფერის ცვლა თავის დასაცავად და გამოაცხადეს თავი უპარტიოთ, რათა მიეღოთ გაურკვეველ ხალხთა ხმები. ყველაფერი ეს პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტურ აღმშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით და შენიღბული კონტრ-რევოლუციის ინტერესებისათვის იყო.

მაგრამ მუშათა მასებმა ჩქარა გაიგეს მათი გეზი. ფართო მასების უპარტიობას ორი მხარე აქვს. ის გამოწვეულია შეშინებით, კერძო პირადი ინტერესებით, შიშით, ეგოიზმით: სწორეთ ამას ენდობოდნენ დაყრდნობოდნენ სოციალ გამყიდველები, მაგრამ უპარტიოთა მოძრაობაში არის დადებითი მხარეც: რაში გამოიხატება ჩამორჩენილ მასების პოლიტიკურ ცხოვრებასთან და სოციალურ შემოქმედებასთან მიზიდვა, იმ მასების, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუგნიათ მთლიანად მუშათა კლასის ამოცანები, მაგრამ რომელნიც გამოღვიძებულნი არიან სოციალური რევოლუციის გრგვინვით და თანდათან ემზადებიან საერთო პროლეტარულ აღმშენებლობაში. იმისდა მიხედვით როგორ იჭედებოდა სამოქალაქო ომის პროცესში პროლეტარული შეგნება, უპარტიოთა მასებში უფრო და უფრო შედიოდა მიდრეკილება დადებითი მუშაობისადმი კომუნისტებთან ერთად და საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, ასეთი მიდრეკილება იზრდებოდა, ხოლო კერძო ინტერესებით და შიშით გამოწვეული უპარტიობა სუსტდებოდა, ის კლებულობდა. ამასდა პარალელურად, მენშევიკებისა და ესერებისადმი ნდობა უპარტიოთა შორის უფრო და უფრო ეცემოდა. მუშათა უპარტიო მასები არსებითად არ შეიძლებოდა მტრულათ ყოფილიყონ განწყობილნი პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალურ რევოლუციის საერთო მიდრეკილებისადმი. ამიტომ ადრე იქნებოდა თუ გვიან უნდა დამდგარიყო მომენტი, როცა სოციალ გამყიდველების მიერ მოტყუებული უპარტიო მუშები აღარ მოისურვებდნენ ყოფილიყონ იარაღათ მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკანობის ხელში. მიიღეს რა არსებითად საბჭოთა ხელისუფლება, ისინი არ ეთანხმებოდნენ მხოლოდ ზოგიერთ მიღებულ ზომებს. უთანხმოება უპარტიოთა და კომუნისტების შორის იყო მხოლოდ გაუგებრობა გაერთიანებულ მუშათა ოჯახში. აი რატომ აღმოჩნდა უპარტიო მასა სოლიდარული კომუნისტებთან პოლიტიკურ სფეროში, როცა ზოგჯერ ვერ ეთანხმებოდნენ მათ მხოლოდ ეკონომიურ პოლიტიკის კითხვებში. ამას მწუხარებით აღნიშნავს მენშევიკი ჩერევსკი, როცა ის ირონიულ ფორმაში ხატავს ნაკაზს, რომელსაც უპარტიო მუშები აძლევდნენ თავიანთ არჩეულებს: „ნაკაზი შემდეგარია ამგვარათ: „პოლიტიკური ნაწილი“ განისაზღვრება „საბჭოთა ხელისუფლების ხელისშეწყობით და მხარის დაჭერით“. მაგრამ სამეურნეო ეკონომიურში შედის „ვაჭრობის თავისუფლება“ (?), „საარსებო მინიმუმი“, „კოოპერაციის თავისუფლება“ და მრავალი სხვები“.

მენშევიკების გასაწბილებლათ და იმედის დასაკარგავად დაიწყეს წარმოშობა მართლაც უპარტიო ფრაქციებმა. ჩერევსკი ცდილობს აიხსნას ეს მისთვის არასასიამოვნო მოვლენა უპარტიოთა „აშშკაობით“, რომელთაც, ვითომც, ასე ვსთქვათ, ეშინიათ „საშინელი ტერორის“ კომუნისტების მხრივ. მაგრამ ის იქვე ურტყამს თავის თავს, როდესაც უჩვენებს მაზე, რომ უპარტიო კანდიდატებმა დაიწყეს პარტიულების წინააღმდეგ გამოსვლა. რომელ პარტიულების წინააღმდეგ? კომუნისტების წინააღმდეგ? ეს არაფრით არ შეაწუხებდა ჩვენ მენშევიკს. არა, მათ დაიწყეს გამოსვლა „ჩვენი პარტიის წინააღმდეგ“, ე. ი. მენშევიკების წინააღმდეგ. აქედან აიხსნება მათი რისხვა. აქედანაა ცდაც საქმის ნამდვილი ვითარების დასამალავათ და ბოლოს აქედან არის მიდრეკილებაც უპარტიო და სინდისიერ მუშების გაშავებისა და დასმენისა, იმ მუშების რომელთაც მეტი არ ჰყავთ სოციალგამყიდველების დღეკვეთა ცეკვა და კომუნისტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობენ ნგრევის დასაძლევათ.

საბჭოებში გასვლის შემდეგ უპარტიოებმა დაიწყეს მუშაობა კომუნისტებთან ერთად. სოციალ-გამყიდველებს ენაზე ეს ნიშნავს, რომ უპარტიოები აღმოჩნდნენ „მშვენიერ იარაღათ კომუნისტების ხელში“. და ბ. ჩერევსკი ცოცხლად ხატავს იმ „მძიმე შთაბეჭდილებას“, რომელსაც ახდენს (მენშევიკებზე, იგულისხმება) უპარტიო ფრაქციათა კომუნისტებთან თანამშრომლობა და მათი უარი, არჩეულიყვნენ და საბოტაჟი გაეწიათ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს კონტრ რევოლუციის სასიამოვნოთ. (წარმოდგენილია, როგორ „მძიმე შთაბეჭდილებას“ მოახდენენ მაზე და მის ახლობლებზე მოსკოვის ქიმიკოსთა უკანასკნელი კონფერენციის შედეგები) მაშინ მენშევიკები შესწუხდნენ. უპირველეს ყოვლისა ისინი ცდილობდნენ გამძვრალიყვნენ საბჭოებში უპარტიოთა დროშით და კონტრ-რევოლუციის მიზნებისათვის გამოეყენებინათ ეს უპარტიო განწყობილება. იმ დროებში „უპარტიობა“ კარგი იყო, მაგრამ როცა ასეთი მეღლეკუდობა არ გამოადგათ, მენშევიკებმა გამოუცხადეს უპარტიობას დაუზოგავი ომი. ახლა ბ. ჩერევსკი სთვლის მენშევიკების პარტიისათვის განსაკუთრებულ საჭიროთ „უპარტიობის წინააღმდეგ ბრძოლას“.

დღე მშვიდობისა! ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მენშევიკებს უპარტიოთა წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე ისეთივე დამარცხება მოელით, როგორიც უპარტიოთა დაცვის ნიადაგზე იგემეს წინათ.

არსებითად, ჩვენ სრულებით ვეთანხმებით შეურაცხყოფილ მენშევიკის აზრს, რომელიც გამოთქმულია ჩვენი წერილის სათაურად დასმულ ციტატაში. დიახ, პოლიტიკა და პარტიულობა აუცილებელია მუშათა კლასისათვის. მაგრამ, უპარტიობის გამომუშავდობებისა და წინ გასწრების შემდეგ მუშათა მასები მიდიან არა მენშევიზმთან, არამედ კომუნიზმთან. და ეს იქნება მენშევიკებისათვის ასჯერ უფრო მწარე, ვიდრე ახლანდელი საქმიანი უპარტიობა, რომელიც ასე კარგათ მისწონთ მათ და რომელმაც ასე მკაცრად გააცრუა მათი იმედები. („იზვესტია“).

ა. [illegible]

საბჭოთა რუსეთი და ანტანტა

რ. ს. ფ. ს. რ. გარეშე საქმეთა სახ. კომისრის ნოტა ანტანტის სახელმწიფოებს.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი, (რადიო). გარეშე საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა, 1921 წლის 23 ოქტომბერს მიმართა ნოტით დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და შეერთებულ შტატების მთავრობებს, რომელშიც, სხვათა შორის, შემდეგი სთქვა: „სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბრიუსელის კონფერენციამ დაადგინა რუსეთის მთავრობისათვის დამშეულთა დასახმარებლად კრედიტების მიცემის პირობად დაუთხოვოს საბჭოთა რუსეთისაგან მის მიერ რუსეთის წინანდელი მთავრობების ვალების ცნობა. ამ კონფერენციის დადგენილების შესახებ რუსეთის მთავრობისათვის დღევანდლამდე არაფერი უცნობებიათ, მაგრამ რუსეთის მთავრობას დამშეულ ხალხის მასსების წინაშე არ სურს დიპლომატიურ ფორმალობის ახგომაში გაუწიოს და თავისი აუცილებელ მოვალეობათ მიაჩნია განაცხადოს თავისი დამოკიდებულების შესახებ ბრიუსელის გადაწყვეტილებებისადმი. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა 16 აგვისტოს ბრიტანეთის პარლამენტში წარმოთქმულ თავის სიტყვაში ჯოჯოხეთური განზრახვა უწოდა წინადადებას რუსეთის შიმშილის გამოყენების შესახებ იმ მიზნით, რომ იძულებულყონ იგი იცნოს მეფის მთავრობის ვალები. მიუხედავად ამისა, ბრიუსელის კონფერენციამ რუსეთისათვის კრედიტების,—რომლისოდ დამშეულთათვის სერიოზული დახმარების აღმოჩენა შეუძლებელია,—მიცემის პირობად წამოაყენა საბჭოთა რუსეთის მიერ ძველი ვალების ცნობა. აქცევს რა ყურადღებას ბრიუსელის კონფერენციის მოქმედებაზე ყველა ქვეყნის მშრომელთა და ყველა მოქალაქისას, რომლებისათვის ძვირფასია კაცთმოყვარეობის მოსაზრებები,—რუსეთის მთავრობა ამავე დროს აცხადებს, რომ ძველი ვალების განსაზღვრულ პირობებზე ცნობის წინადადება ახლანდელ დროში არ ეწინააღმდეგება მის საკუთარ განზრახვებს. იგი აღნიშნავს, რომ ოფიციალურ განცხადებებში, როგორიც ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის, ისე დიდ-ბრიტანეთის მინისტრების, თანდათან ის აზრია გამოთქმული, რომ მსოფლიო ომის გათავების სამი წლის შემდეგაც ნამდვილი ზავი კიდევ არ არის დამყარებული; ხალხთა მასსების გაჭირვება უფრო და უფრო მწვავდება, სახელმწიფო ვალები მატულობენ, ნგრევა იზრდება. სავსებით ცხადია, რომ შეუძლებელია ვიფიქროთ სრული მშვიდობიანობის დამყარებაზე რუსეთის და მისი 180 მილიონიანი მოსახლეობის გარეშე, რომ შეუძლებელია ნგრევის დაძლევა, თუ რუსეთში ნანგრევების დაგროვებით და რომ საკითხი რუსეთისა და დანარჩენ მსოფლიოს ურთიერთობის შესახებ, რომელიც პირველ ხარისხოვან საკითხს წარმოადგენს, შეუძლებელია გადაიჭრას საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების გარეშე. სხვა ქვეყნებთან ეკონომიურ ურთი-ერთი—ზედმოქმედების გარეშე რუსეთის ეკონომიური აღორძინება მეტად ძნელი აღმოჩნდა და ამ ამოცანის ასრულება გაჭიანურდება გაცილებით უფრო ხანგრძლივ დროს. მუშურ-გლეხური მთავრობას ყოველგვარ სხვა მთავრობაზე უკეთესად ესმის ამ გარემოების მნიშვნელობა, და საბჭოთა ხელისუფლება აძლევს უცხოელ კაპიტალს უფლებრივ გარანტიას და მოგების საკმაო წილს მისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რათა მიიზიდოს იგი რუსეთის ეკონომიურ მუშაობაში მონაწილეობისათვის. ამ გზით მიმავალი საბჭოთა მთავრობა ცდილობს ეკონომიურ შეთანხმებას ყველა ქვეყნებთან. მისთვის აუცილებელია საბოლოო აქტიური ზავის ჩამოგდება რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის. ისახავს რა ასეთ მიზანს, საბჭოთა ხელისუფლება სხვა სახელმწიფოების მხრით ცნობილ მეფის მთავრობის ძველ ვალების ითხოვსხას. საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მისი მტკიცე რწმენით არც ერთი ხალხი არ არის ვალდებული გადაიხადოს იმ ჯაჭვების ღირებულება, რომელსაც ის ატარებდა საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ რუსეთის მთავრობას შეურყევლად აქვს გადაწყვეტილი სხვა სახელმწიფოებთან მიაღწიოს შეთანხმებას და ამიტომ მზად არის მთელი რიგ არსებითი დათმობაზე წავიდეს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში ის მზათ არის იცნოს თავისი ვალდებულებანი სხვა სახელმწიფოთა წინაშე და მათი მოქალაქეების სახელმწიფო სესხი აღებული 1914 წლამდი მეფის მთავრობის მიერ, რომელსაც ასეთს შეღავათიან პირობებში და ეს პირობები საშუალებას აძლევდა მას უზრუნველ ეყო ვალდებულებათა შესრულების პრაქტიკული შესაძლებლობა—თავის თავად იგულისხმება, რომ ამ ცნობის აუცილებელ პირობათ ამავე დროს უნდა იქნეს დიდი სახელმწიფოების ვალდებულება, რომ ისინი აუცილებლათ ბოლოს მოუღებენ ყოველგვარ მოქმედებას, რომლებიც კი საფრთხეს უქადებენ საბჭოთა რუსეთს. საბჭოთა რუსეთს შეუძლია აიღოს თავის თავზე ეს ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი სახელმწიფოები საბოლოოთ დასდებენ საერთო ზავს ან და იმისი მთავრობა იქნება ცნობილი დანარჩენ სახელმწიფოების მიერ. ამ მიზნისათვის რუსეთის მთავრობა წინადადებას იძლევა საჩქაროთ მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გადასჭრიდა ზევით აღნიშნულ ამოცანებს, გაარჩევდა სხვა სახელმწიფოების მოთხოვნას რუსეთის მთავრობისადმი, და რუსეთის მთავრობის დანარჩენ სახელმწიფოებისადმი, და გამოიმუშავებდა მათთვის საბოლოო საზავო ხელშეკრულებას. ის წინადადება, რომლითაც გამოდის რუსეთის მთავრობა, სავსებით დამამტკიცებელია მისი მისწრაფებების სხვა სახელმწიფოებთან ზავის დასამყარებლათ და ეკონომიური ურთიერთობის მოსაწესრიგებლათ. ცხოვრებაში ამ წინადადების გატარებაში დაინტერესებული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოები და ხალხები. რუსეთის მთავრობა გამოთქვამს მტკიცე იმედს, რომ მის წინადადების შემდეგ ახლო მომავალში მოხდება საბოლოო მოწესრიგება ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობისა და რუსეთსა და დანარჩენ სახელმწიფოებს შორის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

იტალია

მდგომარეობა იტალიაში.

რომი. 12 ოქტ. (რადიო). ბომბაჩი სწერს: ჩვენ ვიცით სარწმუნო წყაროებიდან, რომ იტალიის მინისტრმა ბონომიმ გასცა იტალიის ქალაქების პრეფექტებს შემდეგი ფარული ბრძანება: პოლიციამ ყველა ღონის ძიება იხმაროს კომუნისტურ პროპაგანდის შესაფერხებლათ. ამავე დროს კი ფაშისტებს ეძლევათ გამოსვლების სრული უფლება, როგორც მთლიანად კომუნისტურ პარტიის ისე ცალკე მისი წევრების მოქმედებათა წინააღმდეგ. ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში ფაშისტების ტერორისტული გამოსვლები, როგორც ტოსკანაში ისე სხვა ადგილებში, ათობით ითვლება. ძნელი სამეწარმეოლია და შედეგები მოყვება ფაშისტების გამოსვლას. შეგნებულმა მუშებმა უკვე შეიძინეს გამოცდილება პარტიზანულ ბრძოლაში და ისინი ასე ადვილათ არ აყვებიან პროვოკაციულ გამოსვლებს. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობა იტალიაში თანდათან ფართოვდება და შიმშილი კი შეთანხმების შესაძლებლობას უფრო აძნელებს.

ინგლისი

პოლიციასთან შეტაკება ინგლისში.

ლონდონი. 14 ოქტ. დემონსტრაციის დროს ლონდონში უმუშევრებსა და პოლიციას შორის მოხდა სერიოზული შეტაკება. გაზ. „მორნინგ პოსტ“-ის ცნობით, დემონსტრაცია მოწყობილი იყო კომუნისტების მიერ რევოლუციონური მიზნით. პოლიციამ წინდაწინ გააფრთხილა ისინი, რომ ტრაფალგერ—სკვერზე დემონსტრაციას არ დაუშვებს. მოედანზე—დაყენებული იყო 1000 პოლიციელი და აგრეთვე ათ-ათი ცხენოსანი ქუჩებში. მიუხედავად ამისა ბრბომ სცადა გაერღვია პოლიციელების კორდონი, მაგრამ პოლიციის ცხენოსან რაზმმა ხალხი შეაჩერა და გაფანტა. დემონსტრანტებმა დაუშინეს აგურები, ქვები და ლითონიდან გამოჭრილი რკინის ჯოხები. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე დემონსტრანტი.

ლონდონის ტრედ-იუნიონების საბჭომ ერთხმათ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ. რეზოლიუცია ითხოვს ადგილობრივ ხელისუფალთა კონტროლს პოლიციის მოქმედებებზე. ამის გარდა მუშები ითხოვენ პოლიციის მოქმედების გამოძიებას.

პოლონეთი.

მუშების დემონსტრაცია პოლონეთში.

ვარშავა. 17 ოქტ. 15 სექტემბერს ვარშავაში მოეწყო ძალიან დიდი საპროტესტო დემონსტრაცია მთავრობის წინადადების წინააღმდეგ 8 საათის სამუშაო დღის შემოკლების შესახებ. 12 საათისათვის თეატრის მოედანზე დაიწყო შეკრება დემონსტრანტებისა ბაირაღებით, ორკესტრით და რევოლიუციონური სიმღერებით, უკვე დილიდან მიიღო პოლიციამ ზომები დემონსტრანტების წინააღმდეგ. ქალაქის ქუჩებში და განსაკუთრებით მუშებით დასახლებულ უბნებში დადიოდა პოლიციის ცხენოსანი რაზმები და საბარგო ავტომობილებით ქვეითა ჯარის კაცები. პოლიცია ყველგან ფანტავდა კრებებს. აღნიშნულია ძალადობის ხმარება დემონსტრანტებზე, რომლებსაც პოლიცია ერეკებოდა ხმლის ცემით. შუა დღისათვის მოედანზე შეიკრიბა 60.000 მუშა. ორატორების სიტყვების დროს გაისმოდა: გაუმარჯოს საბჭოთა ძალა-უფლებას, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს. განსაკუთრებული ყურადღება პოლიციამ მიაქცია რუსეთის საელჩოს. ხოლო ქუჩა რომლის საელჩოსაკენ დაკავებული იყო პოლიციელებით, იქით გასვლა სავსებით შეუძლებელი იყო. დემონსტრანტები აღელვებული იყვნენ.

ქრონიკა

◆ **თფილისის განტვირთვა.** ქ. თფილისის 2, 4, 5, 6 და 9 რაიონებში შედგენილია სია იმ პირთა, რომელნიც ექვემდებარებიან გადასახლებას, თანახმად დეკრეტისა ქალაქის მცხოვრებთა განტვირთვის შესახებ გამოკრულია, როგორც შინაგან საქმეთა კომისარიატში, აგრეთვე მილიციის კომისარიატების რაიონებში. სამი დღის განმავლობაში ამ სიების გამოკვრის შემდეგ, ე. ი. 1 ნოემბრამდის შეიძლება მისცენ ცენტრალურ საერთო უწყებათა კომისიას ქ. თფილისის მცხოვრებთა განტვირთვის შესახებ საჩივარი, რომ ისინი სიაში შეტანილი არიან არა სამართლიანათ, ამის შემდეგ კი არავითარი საჩივარი არ იქნება მიღებული.

◆ **ცირკულიარი რევკომებს.** ვინაიდან ყოფილა ადგილობრივ შემთხვევები სახალხო სასურსათო კომისარიატის აგენტების გადაყენებისა სამაზრო და საქალაქო რევკომების მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობიდგან, შინაგან საქმეთა და სასურსათო კომისარიატის მიერ დაგზავნილია ქალაქის და მაზრის რევკომებისადმი ცირკულიარი, რომელიც უკრძალავს ადგილობრივ რევკომებს თვითნებობას და სასურსათო კომისარიატის ნება დაურთველათ აგენტების და თანამშრომლების გადაყენებასა და მათ მუშაობაში ჩარევას.

◆ **ბაღებისა და ბოსტნების განაწილება.** ამ ჟამათ ქალაქის კომუნალური მეურნეობის განყოფილება ათავებს ბაღებისა, ბოსტნებისა და ცარიელ მიწების განაწილებას დაწესებულებათა და პროფკავშირებს შორის, რის შემდეგაც დაიწყება დარჩენილ ბაღებისა და მიწების განაწილება მუშათა გაერთიანებულ ამხანაგობათა, მშრომელ არტელებსა და სხვა ამგვარ ორგანიზაციათა შორის.

◆ **ყრილობანი.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებით სამაზრო და ქალაქის რევკომების თავმჯდომარეების მოადგილეების ყრილობა, დანიშნული 30 ოქტომბერს და იმავე რევკომების თავმჯდომარეების ყრილობა, დანიშნული 25 ნოემბერს გაერთიანებულია ერთ ყრილობათ, რომელიც დანიშნულია 15 ნოემბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბინაზე.

— **საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენის გამო.** საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენისთვის, რომელიც იხსნება 7 ნოემბერს თფილისში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაამზადა დიაგრამები და კარტოგრამები ყველა ქალაქის და მაზრის რევკომებისა და მათ ქვემდებარე ორგანოების მოქმედების შესახებ და აგრეთვე დიაგრამები და კარტოგრამები სახალხო კომისარიატის საქმის წარმოების მაჩვენებლები, მასში შემოსულ საჩივრების და სხვათა შესახებ.

— **„მოამბე“.** დაიბეჭდა შინაგან საქმეთა კომისარიატის ჟურნალი „მოამბე“ № 18 ქართულ ენაზე. „მოამბის“ ოფიციალურ ნაწილში, რომელიც შეიცავს 32 გვერდს, მოთავსებულია მთავრობის დეკრეტები, ცირკულიარები და განკარგულებანი, ხოლო არაოფიციალურ ნაწილში წერილები ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა და საბჭოთა აღმშენებლობაზე.

— **ბიულეტენი შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მოქმედების შესახებ.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გაუგზავნა საქართველოს ს. ს. რ. რევკომის საინსტრუქტორო საინფორმაციო ნაწილს, კომისარიატის ყოველკვირეული მოქმედების მორიგი ბიულეტენი № 12.

◆ **საქონლის კურსები თფილისის ბაზარზე.** გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატში დაიწყო მუშაობა თფილისის ბაზარზე საქონლის კურსების დამყარების შესახებ, ამ კურსის დამყარებისათვის ყოველ დღე იღებენ პირველ საჭიროების 140 საგნის ფასების ცვლას. საქონლის კურსის დამყარება შესაძლებელს გახდის ყოველი ფულის ანგარიში შესრულდეს ისე, რომ ეს ანგარიში შეფარდებულ იქნება ფულის ნიშნის მყიდველობითი ძალასთან. გაკეთებულ ანგარიშების თანახმად, დადგენილია 20 ოქტომბრისათვის: საქონლის პირობითი კურსი—1000, ფულის ნიშნის შემსყიდველი ძალა-ერთეული; 21 ოქტომბრისათვის-საქონლის პირობითი კურსი-970, ფულის ერთეული შესყიდველი ძალა 1,03 22 ოქტომბრისათვის—საქონლის კურსი-954, ფულის ერთეულის სყიდვითი ძალა 1,048; 25 ოქტომბერს კურსი 990. შემსყიდველი ძალა-1,01; 26 ოქტომბერს—კურსი 1005, შემსყიდველი ძალა 0,995 და 27 ოქტომბერს—კურსი 1004, შემსყიდველი ძალა 0,995.

◆ **სოც.-უზრუნველყოფის მუზეუმ-გამოფენა.** სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატთან არსდება მუდმივი მუზეუმი—გამოფენა, სადაც თავმოყრილი იქნება ყოველგვარი მასალა კომისარიატის მოქმედების შესახებ. ამ მიზნისათვის იცლება ერთი ოთახი და გაიცემა ერთდროული თანხა 10.000.000 მანეთი და ყოველთვიურათ 5.000.000 მან. მუზეუმს საფუძვლათ დაედება ის მასალა, რომელიც გროვდება 7 ნოემბრის გამოფენისათვის—სქემები, კარტოგრამები, ფოტოგრაფიები და სხვა.

◆ **შავი ჭირი.** ბელამარში ერთ სახლში აღმოჩენილ იქმნა საქონლის შავი ჭირი: ამ ეზოს 15 ძროხიდან ავათ გახდა 2. ერთზე შავი ჭირი დამტკიცებულ იქმნა და მეორეზე კი მხოლოდ საეჭვოა. ყველა პირუტყვებს ჭირის საწინააღმდეგო შრატი შეუშხაპუნეს. ეზო კი შემოფარგლულ იქმნა.

◆ **მე-2 საფეხურის სკოლა დღეისათვის.** 1 ნოემბერს პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობა გახსნის 5 ადგილას მეორე საფეხურის სკოლას დიდებისთვის. სკოლები გაიხსნება ბებუთოვის ქუჩაზე ქალთა ყოფილ მე 3 გიმნაზიის შენობაში; ანასტასიევის ქუჩა № 23, ყოფილი ქალთა მე-4 გიმნაზია; არაგვის ქ. № 2, ყოფილი უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი; დიდ ძმავრის ქუჩა № 52, ყოფილი ვაჟთა მე-2 გიმნაზია და ველამარში პეტროპავლეს ქუჩაზე № 16, ყოფილი ვაჟთა მე-5 გიმნაზია. გახსნა მოხდება საღამოს 6 საათზე. იმავე დღეს საღამოს 6—9-მდე ამავე პუნქტებში იწარმოებს სმენელთა ჩაწერა. მეცადინეობა ამ სკოლებში იწარმოებს ეროვნებათა ჯგუფების მიხედვით.

◆ **საქონლის გაცვლა-გამოცვლა.** ბათუმში ოქტომბრის 22 მოვიდა 2 გემი: ოდესიდან „პესტელი“ 6720 ფ. ტვირთით ნიკოლაევიდან, ინგლისის გემი 62,000 ფ. სასურსათო ტვირთით და კონსტანტინოპოლიდან სერბიულ კომპანიის გემი „დმიტრიი“ 59,000 სხვა და სხვა ტვირთით.

საბჭოთა მართლმსაჯულება

ს. ს. ს. რ. უზენაესი რევტრიბუნალმა 1921 წ. ოქტომბრის 26 დღეს საჯარო სხდომაზე მოისმინა და განიხილა რა საქმე საქართველოს საბჭოთა წითელი ლაშქრის 1 ლეგიონის მე 8 გუნდის უფროსის ნიკოლოზ პლატონის ძე არჯევანიძის, გუნდის უფროსის თანაშემწის დავით მიხეილის ძე მდივანისა, იმავე გუნდის ზიმდეგის გიორგი ივანეს ძე მეპარიშვილისა, გუნდის არტილერიის შაქრო გიორგის ძე ოქრუაშვილისა და მოსესა სარქისის ძე ბაბულოვისა, რომელთაც ბრალი ედებათ მასში, რომ მე-8 გუნდში სამსახურში ყოფნის დროს, მიმდინარე წლის გაზაფხულის განმავლობაში ქ. ტფილისში, ურთიერთ შორის წინასწარი მოლაპარაკებით, იტაცებდნენ და ითვისებდნენ თავის სასარგებლოთ სახალხო ქონებას, რომელიც შეიცავდა მე-8 გუნდის წითელ არმიელებისათვის დანიშნულ სხვა და სხვა ნივთებს და სურსათს, დაადგინა: არჯევანიძეს მიესაჯოს ორი წლის იძულებითი საზოგადო სამუშაო, თავისუფლების აღკვეთით, მდივანს ერთი წლის იძულებითი საზოგადო სამუშაო თავისუფლების აღკვეთით, მეპარიშვილს და ბაბულოვს, თითოეულს სამ-სამი წლის იძულებითი საზოგადო სამუშაო თავისუფლების აღკვეთით, ხოლო ოქრუაშვილს პირობით ერთი წლის იძულებითი საზოგადო სამუშაო, თავისუფლების აღკვეთით. არჯევანიძეს, მეპარიშვილს და ბაბულოვს ჩაეთვალოთ სასჯელში ციხეში წინასწარ დატუსაღებაში გატარებული დრო.

ამიერ-კავკასიის საბაჟოების კონფერენცია

26 ოქტომბერს საღამოს გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საბაჟოების კონფერენციის სხდომები, რომელნიც მოწვეულია გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ.

თათბირის მიზანია გაარკვიოს რიგი პრობლემებისა, რომელნიც წამოიჭრენ საბჭოთა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის პრაქტიკიდან უცხო სახელმწიფოებთან. მთლიანი საბაჟო სისტემა და მთლიანი საბაჟო პოლიტიკა არის ლოზუნგი ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების და ამ სისტემის ჩამოყალიბება, ყოველმხრივი მისი გამოკვლევა და განმტკიცებისათვის არის მოწვეული ეს თათბირი. ძირითადი საკითხი თათბირისა არის საკითხი საბაჟო გადასახადების შესახებ.

თათბირზე განსახილველად დასმულია კითხვები, რომელნიც წამოიჭრენ საგარეო ვაჭრობის დროს და რომელნიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას: 1) საიმპორტო და საექსპორტო ტვირთის საბაჟოების მიერ მიღების, გაცემის და შენახვის წესი, 2) საბაჟო პუნქტების ორგანიზაცია სასაზღვრო ხაზზე, 3) გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კონტროლის წესი საბაჟოებზე. 4) საბაჟო გადასახადის რაოდენობის დაწესება. 5) გასინჯვის დაწესება უბაჟო და აგრეთვე გადასატანით და შემოსატანით აკრძალულ საქონელზე. 6) როგორი ორგანიზაციები და დაწესებულებები თავისუფლდებიან გადასახადისაგან. 7) ურთიერთ შორის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის სატრანზიტო საქონლიდან მიგროვებულ გადასახადისა.

თათბირზე მოვიდნენ წარმომადგენლები: გაერთიანებულ ვაჭრობის კოლეგიის თავმჯდომარე რაბინოვიჩი, ამხანაგები კოლომეიცევი და მედირი. საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ბოგოსლოვი, ამხ. საქართველოს ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენლები ალშიბაია და მიქაძე, აზერბაიჯანის წარმომადგენელი გაჯიევი, გოლოვინი და ლებედევი. ამხ. სომხეთის—მ. ქაზარიანი და აბრამიანი. საბჭოთა რუსეთის ცენტრო კავშირის—დიადკინი ამხ. საქართველოს ცეკავშირის დარჩია, და მოწვეულნი პირები, როგორც მცოდნე სპეციალისტი. თათბირი გახსნა ამხ. რაბინოვიჩმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობამ წარმოაყენა ისეთი საკითხები, რომელნიც უნდა გადაჭრას თათბირმა. ამასთანავე აუცილებელია მტკიცე და გარკვეული საბჭოთა პოლიტიკის წარმოება ამიერ-კავკასიის საბ. რესპუბლიკების მიერ დასავლეთ ევროპის ბაზართან ურთიერთობაში. უნდა გამომუშავებულ იქნას მტკიცე და ნათელი პოლიტიკა საბაჟო გადასახადების შესახებ და საქონლის კონტინგენტის დაწესება თუ რომელს [illegible] უნდა დაიდვას საბაჟო გადასახადი, რომელიც განთავისუფლდება და რომლის შემოზიდვა-გადაზიდვა სრულებით აიკრძალოს. ეს კითხები ეხება უცხო ბაზარს. შინაური ბაზრის საკითხი-კი დაწესება იმისა, რომ საბაჟოები არ არსებობენ და მესამე საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს თათბირმა წესები, თუ როგორი სახით უნდა დაწესდეს გადასახადი სატრანზიტო საქონელზე.

თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქმნა ამხ. რაბინოვიჩი და მდივნათ კოლომეიცევი.

თათბირზე არის გადამწყვეტი ხმის უფლებით 12 წარმომადგენელი, ოთხოთხი თითეულ რესპუბლიკებიდან, საქართველოსი, აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთისა. დღის წესრიგის გამომუშავებაზე მსჯელობის დროს კოლომეიცევი წინადადებას იძლევა დასმულ იქნას პირველ საკითხათ, საკითხი საბაჟო წესების გამომუშავების შესახებ, მეორე საკითხათ—საკითხი საბაჟო პუნქტების ორგანიზაციის შესახებ სანაპირო ხაზზე, მესამეთ—საბაჟო გადასახადების დაწესება და მათი რაოდენობა, უბაჟო და გასატან შემოსატანად აკრძალულ საქონლის გასინჯვა და ცალკე საკითხებით დასვას ორი საკითხის გარჩევა. 1) როგორი ორგანიზაციები და დაწესებულებები თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადიდგან და 2) გადასახადის განაწილება რესპუბლიკების შორის.

კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე მოითხოვს დამატებულ იქნას დღის წესრიგში საკითხი საზღვრების დაცვის შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ალშიბაიამ კონფერენციის ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკას წარმომადგენელი არ გამოუგზავნია, რადგან იგი, ალშიბაია და ამხ. მიქაძე არიან წარმომადგენლები არა რესპუბლიკისა, არამედ ცალკე უწყებისა, და ამიტომ უნდა მიიღოს წინადადება სხდომა შესწყვიტონ მომავალ დღის დილის 11 საათამდე, რომ ამ შესწყვეტის დროს გამოირკვეს საკითხი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევკომის მიერ კონფერენციაზე სამ წარმომადგენლის გამოგზავნის შესახებ. დასასრულ მიიღეს ამხ. დარჩიას წინადადება იმის შესახებ, რომ კონფერენციაში მონაწილეობის მიმღებ ყველა რესპუბლიკების ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება გაგზავნონ კონფერენციაზე თითო წარმომადგენელი მოთათბირე ხმის უფლებით.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

მოსავლის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. ცნობები 1921 წ. 15 ოქტომბრისთვის.

(ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოდან).

ქუთაისის მაზრა.

ყველ მაზრაში ოქტომბრის პირველ რიცხვებში განუწყვეტელი წვიმების გამო მოსავალმა იკლო. კერძოთ სიმინდის მოსავალი არის საშუალოზე ნაკლები, ზოგიერთ რაიონში კი ცუდი, სიცივე და წვიმები ხელს უშლიან სიმინდის დაპურებას. ზოგიერთი დაბლობი ადგილები სავსეა წყლით. ღომისა და ფეტვის მოსავალი არის საშუალოზე ნაკლები, უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა შეუდგა უდროოთ ღომის მოჭრას, ვინაიდან ხშირი წვიმები მოსავალს დიდ ზიანს უქადიდა. ყურძნის მოსავალი კარგია, ახლოდ მოკრეფას ისევ წვიმები უშლის ხელს. ლობიო სრულიად გაფუჭდა.

რაჭის მაზრა.

ამინდი: წვიმს, მაღლობზე თოვლი დასდო, დაიჭირა სიცივეები. სტატისტიკოსის ცნობები მოსავლის შესახებ: სიმინდის მოსავალი ცუდი, დესეტინაზე—37 ფუთი, კარტოფილის საშუალო—200 ფუთზე მეტი, ყურძნის კარგი—400 ფ. მეტი, ლობიო—17 ფ. სიცივისა და წვიმების გამო მეწყობრათ არ მიდის შემოდგომის ხორბლეულობის თესვა.

ლეჩხუმის მაზრა.

სიმინდის მოსავალი საერთოდ მაზრაში საშუალოზე მდარე; მაღლობ ადგილებში დაზარალდა ყინვებისაგან; ყურძნისა და კარტოფილის მოსავალი საშუალოა.

ზუგდიდის მაზრა.

განუწყვეტელმა წვიმებმა და სიცივეებმა ძალიან დააზიანეს სიმინდი და ნაწილი ვენახებისა. ზოგიერთ ადგილებში ნიადაგობა გადაფუჭა შემოდგომის ნათესები. სიმინდის და ლობიოს მოსავალი ცუდია, კარტოფილი საშუალოზე მდარე, ვენახის მოსავალი საშუალოზე კარგი. სიმინდის ტეხა ჯერ არ დაუწყიათ.

თესვის კამპანია.

ცენტრალურ თესვის კომისიის შემოდგომის თესვის კამპანიისათვის მიეცა 1 მილიარდი მანეთი.

სათესლე მასალის განაწილება.

600 მილ. მანეთით, რომელიც მიიღო თესვის ცენტრალურმა კომისიამ სათეს მასალის შესასყიდათ და რომელიც გადაეცა სასურსათო სახ. კომისარიატს, შეძენილია 7 ვაგონი ხორბალი, რომელიც ნაწილდება ასე: ორი ვაგონი დუშეთის მაზრას და თითო ვაგონი შემდეგ მაზრებს: თფილისის, რაჭის, ბორჩალოს, გორის, და ცხინვალის რაიონს (ოკრუგს).

ბეგრის გატარების რადიუსი.

უწყებათაშორისო თათბირმა სახალხო შრომის კომისარიატთან იცნო სასურველათ, რათა ურმის ბეგარის გაწევის რადიუსი უდრიდეს 15 ვერსს. შრომის ბეგრის რადიუსი არ უნდა აღემატებოდეს 7 ვერსს. უკიდურეს შემთხვევაში სახალხო შრომის კომისარიატის სენქციით ბეგრის გატარება დაშვებულ რაიონში რადიუსით 30 ვერსამდე.

საერთო გეგმა ბეგრის ჩატარების შესახებ.

საერთო გეგმის გამოსამუშავებლათ და ბეგრის გატარების შესახებ უწყებათა შორისო თათბირმა შრომის კომისარიატთან სცნო საჭიროთ დაარსოს მუდმივი კომისია შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით: სახალხო შრომის კომისარიატის, შინაგან საქმეთა კომისარიატის, ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის და სათათბირო ხმის უფლებით მიწათ მოქმედების კომისარიატის და სახალხო სასურსათო კომისარიატის. ამასთანავე ერთათ უნდა ხდებოდეს პერიოდულათ ორგანოების თათბირი შემდეგ წარმომადგენლების შემადგენლობით: გზის შეკეთების და გაკეთების გიდრო ამშენებლობისა, ტყის კომიტეტის, კავკასიის ცალკე ლაშქრის, საქართველოს არმიის, რკინის გზის გაერთიანებული მართველობის და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა.

შესრულებული მუშაობის აღრიცხვა.

უწყებათა შორის თათბირმა, არსებულმა შრომის კომისარიატთან, დაადგინა მიმართოს ყველა სამეურნეო ორგანოებს, რომლებიც აწარმოებდნენ მასსიურ შრომას და ურმების ბეგარას, წარმოადგინონ სასწრაფოთ ანგარიშები წარმოებითი მუშაობის შესახებ დანიშნულების, შესრულების, გაწვეულთა რიცხვის და სხვათა ჩვენებით.

შრომის მობილიზაცია. თელავიდან იტყობინებიან: თელავის შრომის ინსპექტორმა ოქტომბრის 1 გამოაცხადა მობილიზაცია კახეთის რკინის გზის შესაკეთებლათ. მოსახლეობა ყოველ დღე ძლევა მოთხოვნილ მუშების რაოდენობას. მუშაობა ნაყოფიერათ სწარმოებს. მუშაობას ხელმძღვანელობს მაზრის პარტიული კომიტეტის პასუხის მგებელი წარმომადგენელი ამხ. ბერძნიშვილი.

ინფორმაცია ადგილებიდან. ვინაიდან ბორჯომის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ნედლი მასალის უქონლობის გამო, შეიძლება გაჩერდეს და ამასთანავე სტატიონ „შეშენია ბალკა"-ში უწყვია 1000 ამდე ვაგონი რომლებიც გადმოსატან საშუალებათა უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება გადმოზიდონ, ქარხნის შეერთებულმა სხდომამ, ხე ტყის სახერხიგამგის და შრომის ინსპექტორის თანდასწრებით დაადგინეს აღძრან შესაფერი შუამდგომლობა რათა მისცენ ნება ხეები სტატიოდან ქარხანაში ბეგრით ჩამოზიდონ.

ზომისა და წონის პალატა. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა ზომისა და წონის პალატა, ამ ჟამათ მომქმედი როგორც მომარაგების საბჭოს ქვეგანყოფილება, გადაექციოს ს. მ. უ. ს. განყოფილებათ. ზომისა და წონის პალატას ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაავალა დაინტერესებულ უწყებათა და სპეციალისტებთან ერთად საქართველოში მეტრიულ სისტემის შემოღებისათვის დეკრეტის შედგენა.

სარწყავი არხები. ს. მ. უ. ს. ინფორმაციულ-სოციალური ნაწილში მიღებულ ცნობებით სკრა ქარელის სარწყავი არხის გამოკვლევა დამთავრებულია და ამ ჟამათ შეუდგნენ მიწის მუშაობას. დღეის არხის გასაყვანათ შესრულებულია მიწის სამუშაო, გათხრილია 500 კუბ. საჟ. არხი, გაჭრილია 7 ვერსის მანძილზე.

ჯიშიან საქონლის შესყიდვა. მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატი აწყობს ჯიშიან საქონლის შესყიდვას თავის საბჭო ფერმებისათვის. საქონლის შესყიდვა დავალებული აქვს სპეციალისტებს.

ცხოველების მოშენების და რძის მეურნეობის კურსები. მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ საბჭოთა ფერმებისთვის საქონლის შესყიდვის დამთავრების შემდეგ თფილისის ყოფილი კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შენობაში გაიხსნება ორ თვიანი კურსები საქონლის მოშენების და რძის მეურნეობის ინსტრუქტორების მოსამზადებლად.

ს. ს. ს. რ. მრეწველობის გამოკვლევა. ს. მ. უ. ს. ცენტრალურ წარმოების ტექნიკური განყოფილება საქართველოს პროფესიონალურ კავშირის საბჭოსთან ერთად შეუდგა რესპუბლიკის მრეწველობის გამოკვლევის გეგმის შედგენას, აგრეთვე ყველა საჭირო მასალების შეკრებას, რომელიც გამოსადეგი იქნება მთლიანი წარმოების გეგმის შესადგენათ მომავალი 1922 წლისათვის. მრეწველობის გამოსაკვლევათ შედგენილია 12 შრომის კომისია, რომელთა ნაშრომი შემდეგ წინასწარი დამუშავებისა შევა ცენტრალურ წარმოების ტექნიკურ განყოფილების კოლეგიაში. მთლიანი წარმოების გეგმის შედგენას შეუდგებიან ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ს. მ. უ. ს. ტყის კომიტეტის მიერ შეშის დამზადება. ს. მ. უ. ს. საინფორმაციო სტატისტიკური ნაწილის ცნობების მიხედვით ტყის კომიტეტის მიერ შეშის დამზადების შესახებ სწარმოებს შემდეგი მუშაობა: შეშის დამზადების უმთავრესი პუნქტი არის ფოთის რაიონი. ამ რაიონიდან თფილისში ყოველ დღიურათ იგზავნება 30 ვაგონი შეშა. იმერეთის რაიონში სწარმოებს შეშის დამზადება ქუთაისის და ყვირილის სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, ყარაიაზის რაიონში, სადაც მუშაობს სამხედრო ორგანიზაციის მოიჯარადრეები, შეშის დამზადება დანიშნულია მხოლოთ თფილისისთვის. თფილისისთვის შეშის დამზადება სწარმოებს აგრეთვე სხვა ადგილებშიაც: საგარეჯოს რაიონში, საგურამოს ახლოს და მცხეთის რაიონში, მაგრამ რაიონებში, ყარაიაზში და თელავში სწარმოებს შპალების და ძელფიცრების მოჭრა, რომლის ჩამოზიდვა ხდება მაგისტრალებთან.

დიდი კვირაობა

კვირას 30 ოქტომბერს თბილისში გაიმართა დიდი კვირაობა.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ორგანიზაციებში შეკავშირებული ყველა პარტიის წევრთ და მის კანდიდატებს დილის 8 საათზე უკლებლად მოეყარათ თავი რაიკომებში. 8 ნახ. საათზე ეს შეკრებილნი მრავალრიცხოვანი ამხანაგები ჩამწკრივდენ რიგებათ და წითელი დროშით ხელში რევოლიუციონური სიმღერებით საქართველოს რევკომისაკენ დაიძრენ.

რუსთაველის პროსპექტით დილა ადრიანად მომავალი, მე-4 ხე რაიონის ამხანაგების გრძელი მწკრივი მეტად ცოცხალ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

სხვათაშორის განზრახვა ყოფილიყო, რომ ეს სამუშაოდ მიმავალი შრომის არმია, განათლების კომისარიატთან არსებულ კინოს უჯრედის რევკომის წინ დროებით შეეჩერებიათ, და გადაეღო ისინი 1905 წლის რევოლიუციონური ბრძოლის ეპიზოდების აღსადგენად და ლენტზე გადასაღებათ გამოეყენებინათ. ამის გამო ამხანაგებს, რომლებიც დაახლოვებით 1500--2000 აღემატებოდა, მოუხდა თითქმის საათ ნახევარი თუ ორი საათი აქ შეჩერება.

იმ დროინდელ „გმირის" გრიაზნოვის მიერ წამოსხმულ ყაზახებისგან უიარაღო ხალხზე დარევა, გამოჭენებული ცხენებით მათი აწიოკება—გასროლის სურათი იქნა გადაღებული ლენტზე.

ამის შემდეგ, დაახლოვებით 12 საათის ნახევარზე ხსენებული ამხანაგები რუსთაველის პროსპექტით გაემართენ დანიშნულ სამუშაო ადგილას. 12 საათზე ეს მრავალ-რიცხოვანი შრომის არმია უკვე იყო ხსენებულ ადგილას და ლომივით—შეკვეთით ხელში ეწოდენ შეუჩვეულ მუშაობას, კოლექტიური შრომით ფახალისებული ერთმანეთს ეცილებოდენ. ანსაინტერესო იყვნენ ჩვენი პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელნი—ამხ. მამია ორახელაშვილი და ბუდუ მდივანი, რომლებიც გულდაგულით, შეუსვენებელ მუშაობაში იყვნენ ჩართულნი... ნაწილი ამხანაგებისა ქვებით და სილებით სასწრაფოდ ტვირთავდენ დროგებს,—სილაქვები მიდიოდა გაფუჭებული პლეხანოვის პროსპექტის შესაკეთებლათ.

ნაშუადღევის 3 საათზე დასრულდა მუშაობა.

ხელმძღვანელების ანგარიშით ნამუშევარის ფასი აღემატება რამდენიმე მილიონს.

მუშაობა ნაყოფიერი იყო. სასურველია ასეთი „კვირაობა" ხშირად იმართებოდეს მზგავს საჭირო საქმეების გასაკეთებლათ.

ხევახი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა ყრილობა

მე-3 დღე, 24 ოქტომბერი.

სხდომა იხსნება საღამოს 5 საათზე; გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან; მოხსენებებს აკეთებენ: სიღნაღის ინსპექციის გამგე ამხ. ჩიხნაშვილი, რაჭის—გამგე ამხ. ჯაფარიძე, გორის—გამგე ამხ. მჭედლიშვილი, თელავის—გამგის მოადგილე ამხ. შიუკაშვილი, სამხრეთ ოსეთის—გამგე ამხ. ხუგუმოვი, ბორჯომის—გამგე ამხ. რუხაძე და ტფილისის—გამგე ამხ. ციოკაძე.

მოხსენებელნი ერთხმათ აღნიშნავენ იმავე დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან ინსპექციათა მუშაობას ადგილზედ და რომელნიც საერთო იყვნენ დასურათებული წინა სხდომაზედაც.

სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. პ. საყვარელიძე მოკლე, ზოგადი ხასიათის მოხსენებას აკეთებს სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ, მოხსენებელი აღნიშნავს, რომ თუ ინსპექციის მუშაობას აქამდე აქვს ნაკლი, ეს ბუნებრივია, ვინაიდ გვი ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა ხდება რევოლიუციონურ ხასიათის; ყოველ მომენტში ვცდილობთ იყოს ჩვენი განზრახვა—განკარგულებების დეკლარაციული ხასიათი აჩვენოს, რადგან ცხოვრება ჩვენი სურვილის თანახმად ვერ იცვლის სწრაფად ძველ კალაპოტს, ვერ შორდება ძველ გზას; ინსპექციის დაწესებულებები აღმოცენდა ძველ სახელმწიფო კონტროლზე, რომელიც იყო ბურჟუაზიულ წესწყობილებას ემსახურებოდა, იგი თითქმის დარაჯობდა სახელმწიფოებრივ ქონების მთლიანად შენახვას, მაგრამ თვით ამ ქონების არსება ძარცვაზე იყო აშენებული. მოხდა ძირითადი გადატრიალება, მთელი ქონების ბატონ-პატრონათ მშრომელი მასა გახდა, ამ ქონების შემქმნელი. ძველი აპარატის საძირკველზე ჩვენ შევქმენით მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ მისი ერთბაშად ხოიცის შეცვლა, მისი არსების მხარის გარდაქმნა და არა მარტო სახელის გამოცვლა, ძნელი საქმეა, ერთი დაკვრით არ გაკეთდება. ეს ხანგრძლივი პროცესია; რამდენადაც ფართოა ჩვენი მიზანი, იმდენად ძნელია მისი ცხოვრებაში უმტკივნეულოთ გატარება, ვინაიდგან მშრომელი მასის მიერ შექმნილ ქონებას, საერთო სიმდიდრეს იგივე მშრომელი მასა უნდა ჩაუდგეს დარაჯათ და გულშემატკივარ მეთვალყურეთ. ჩვენც ეს მიზანი არ დაგვავიწყნია, მოვიწვიეთ სამუშაოთ პროფკავშირები, მაგრამ ისინიც განვითარების პროცესში იყვნენ და საჭირო ამხანაგები ვერ მოგვცეს. ყოველ შემთხვევაში თანამშრომლებს მივიღებთ, ეს საქმე ახლო ხანში მოგვარდება; შემდეგ ჩვენ შეუდგებით დამხმარე წრეების მოწყობას და პროფკავშირები დაგვპირდენ შეწევნას. აუცილებლად საჭიროა პროვინციაც გადაჭრით დაადგეს ამ გზას.

პროვინციის მოღვაწეებთან სათანადო კავშირის დასამყარებლად, მისთვის რომ გვგებეს ერთმანეთის პროგრამები რა გვაწუხებს და რა გვახარებს, მოგიწვიეთ თქვენ ამ ყრილობაზე, რომლის მნიშვნელობა ყველამ თქვენგანს კარგათ ესმის.

ჩვენ დავაარსეთ საუწყებო ორგანო, უკვე გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალისა „მუშათა და გლეხთა ინსპექცია" და მოგიწოდებთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ ამ ორგანოში, მოგვაწოდოთ მასალა, რათა შეერთებული ძალით ერთგვარი გეგმა შევიმუშაოთ, მჭიდრო კავშირი შევქმნათ ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

ჩვენი საქმე, ჩვენი მიზნის განხორციელება მოითხოვს, რომ ამ საქმეს კეთილსურვილათ ეკიდებოდეს თითოეული მშრომელი ხალხი; ამ მიზნით განზრახულია მოსამზადებელ კურსების მოწყობა, მაგრამ ეს საქმე განგებ შევაჩერეთ, ვიდრე ეს ყრილობა არ მოხდებოდა, თქვენს ჩამოსვლას ველოდით.

შემდეგ მომხსენებელი გადადის სატვირთო ბიუროების სუსტ მუშაობაზე, მოძრავი რევიზიის მნიშვნელობაზე და რკინის გზის ინსპექციაზე. რადგან ჩვენი და მეზობელ რესპუბლიკათა რკინის გზები კარგა ხანია გაერთიანდა, ამას შედეგათ უნდა მოჰყოლოდა ინსპექციის გაერთიანებაც, რაიცა მოკლე ხანში იქნება განხორციელებული.

მომხსენებელი ათავებს თავის სიტყვას ღრმა რწმენით, რომ ინსპექციის თანამშრომელნი ერთსულოვნათ იმუშავებენ რესპუბლიკის მშრომელი მასის საკეთილდღეოთ. კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

წარმოებითი პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობათა კავშირის მოქმედება ოქტომბერში.

ძველი მართველობა და პრეზიდიუმი ყრილობის მოწვევამდე აწარმოებდნენ მის მოწვევის ორგანიზაციულ მუშაობას. ყრილობის შემდეგ ახლათ არჩეულმა მართველობამ შეკრიბა ერთი სხდომა განყოფილებების და პრეზიდიუმის კონსტრუქციის შესახებ. ხოლო პრეზიდიუმი ასრულებდა ყრილობის ყველა დადგენილებებს. ამასთანავე იხილავდენ ტრამვაის ერთი პირის მიერ მართვის საკითხს, მუშათა ქალაქების ორგანიზაციის, რისთვისაც სთხოვეს საქართველოს პ. კ. ს. მიწის განსაზღვრულ რაოდენობის მიცემა, დამშეულთა დახმარების საკითხს, რისთვისაც მოეწყო ამხანაგური კვირაობა და მთელი შემოსავალი გადაეცა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს.

საორგ.-საინსტრ. განყოფ. განყოფილების მთავარი ყურადღება მიქცეული იყო გატარებინა ყრილობის წინასწარი კამპანია სრულიად საქართველოს მასშტაბით. ყრილობა სწარმოებდა 22—25 სექტემბერს. ყრილობის შემდეგ წარმოებებში გამართულ იქნა კრებები საქალაქო კონფერენციაზე დელეგატების ასარჩევად.

ტარიფ.-ეკონ. განყოფილება. დამტკიცებულია საკვალიფიკაციო უწყებები 249 მოსამსახურისა. შემოღებულია ტრამვაის მუშათა და ცეცხლის მქრობელ რაზმის წევრთა შრომის ხელფასის პრემიალური სისტემით დაკმაყოფილება. ადგილობრივ შ. მ. ფასეულ კომისიებს მიეცათ ინსტრუქციები ადგილებზე ტარიფის გასატარებლად.

კულტურული განყოფილება. გახსნილია ორი სკოლა ტრამვაის მუშათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ სომხურ და ქართულ განყოფილებებით. ამ სკოლების მუშაობა ჩინებულად მიმდინარეობს.

ავჭალის წყალსადენთან გაიმართა 8 წარმოდგენა მუშების მონაწილეობით, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი, 2 საერთო კრება, რომელზედაც გაკეთდა მოხსენებები დამშეულთა შესახებ და მიმდინარე მომენტზე. მთავარი ყურადღება მიქცეულია მუშათა ბავშვების აღზრდასა და მომარაგებაზე, რისთვისაც 12 ბავშვი არის ბავშვთა სასადილოში, 15 საბავშვო ბაღში, სადაც რეგულიარულად სწარმოებს თამაშობა შეჯიბრებობა, 8 ბავშვი გაგზავნილია ფუნიკულიორზე ახალ შენში.

შრომის დაცვის განყოფილება საანგარიშო ხანის პირველ ნახევარში განყოფილება აწარმოებდა ყოველ დღიურ მუშურ მუშაობას, რაც გამოიხატებოდა სოციალურ უზრუნველყოფის და შრომის დაცვის შესახებ სხვადასხვა ცნობების მიცემაში. ყრილობასთან დაკავშირებით, და ამასთანავე პროვინციიდან დელეგატების ჩამოსვლით განყოფილებამ ისარგებლა მოხერხებული დროით და მისცა დელეგატებს ინსტრუქციები შრომის დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის საქმის დასაყენებლად. სავადმყოფო კასიდან აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა საქმით დახმარება.

ეკონომიური განყოფილება. გამოკვლეულია კავშირის მნიშვნელოვანი წარმოებანი: ბაღები, ფუნიკულიორი და ქარავანის მექანიკური სახელოსნო ნავთლუღში. გამოკვლევამ გამოაშკარავა, რომ ცენტრალურ ელექტრონის სადგური უკვე 7 წელია არ შეუწყვეტია. საჭიროთ შეადგინეს ხარჯთ-აღრიცხვა და შეუდგნენ შეკეთებას. განზრახულია ედიგაროვის აბანო გადააკეთონ მექანიკურ სამრეცხაოდ, რისთვისაც საჭიროა ცოტაოდენი შეკეთება. ფუნიკულიორიც საჭიროებს შეკეთებას, რომელსაც განზრახულია შეუდგნენ ძირითადის შეჩერების შემდეგ. თბილისის ბაღებისათვის საჭიროა იარაღის და მცენარეულის დიდი რაოდენობა, რომლის დამზადებასაც უკვე შეუდგნენ. ქარავანის (ნნ08)—მექანიკურ სახელოსნოს შეუძლია მისცეს ტრამვაის ზოგიერთი საჭირო მასალა. ცენტრ. ელექტრონის სადგ. შეკეთების გამო მიეცა 3.000 ცალი ცეცხლის ძლე აგურის მოტანა სადგ. ძირულიდამ. აგური უკვე თბილისშია მოტანილი. სწარმოებს გოგირდის სიმჟავის შესყიდვა ბაქოში. მალე დამთავრდება მოლაპარაკება საგარეო ვაჭრობასთან ავსტრიისა და გერმანიიდან ტრამვაის მასალის მოტანის შესახებ. საანგარიშო ხნის განმავლობაში გამართულ იქნა 6 საერთო კრება, რომლებიც მთლიანად მოიცავდა სამეურნეო საკითხების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად კავშირის ყველა მთავარ წარმოებებში შემოღებულია შრომის პრემიალური და ნატურა ხელფასი.

ამ სისტემის შემოღების შედეგად დადებითი შედეგები უკვე არის ცენტრ. ელექტ. სადგ. და წყალსადენში.

მომარაგების განყოფილება. მოწყობილია კავშირის მუშა-წევრთა [illegible] სასადილო [illegible] და მისთვისვე გამოთხოვილია სურსათი. მიღებულია და განაწილებული 300 ფუთი ფქვილი. ქვეგანყოფილება სათანადო ყურადღებას აქცევს და პროვინციის დელეგატების მომარაგებას. კავშირის წევრებად ირიცხებიან 2757 კაცი სრულიად საქართველოს მასშტაბით.

პროვინციაში

ფოთი

28 ოქტომბერს ქ. ფოთს [illegible] კომუნისტურ პარტიის ძველი მუშაკი და ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციის ერთი დამაარსებელთაგანი ამხ. შამშე ლეჟავა. ეს ამხანაგი ფოთისთვის უცხო არ არის. ის აქ ენერგიულად მუშაობდა და ყველასათვის საყვარელი იყო, განსაკუთრებით მუშებისათვის. დღეს ის ჩამოვიდა, როგორც საქართველოს პროფკავშირების ყოფილი დელეგატი საერთაშორისო წითელ პროფკავშირების კონგრესზე მოსკოვში. ფოთელი პარტიული ამხანაგები და მთელი საზოგადოება მას აღტაცებით მიეგება. დანიშნეს 24 ოქტომბერს 2 საათისთვის საერთო კრება პროფკავშირების წევრებისა და პარტიულ ამხანაგებისა. აღნიშნულ დროისთვის თეატრის შენობა უკვე სავსეა ხალხით. დაესწრენ მენშევიკებიც, ესერებიც და უპარტიონიც. სრულ სამ საათზე კრება გახსნა პროფკავშირების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა, გაბისკერიამ. თავმჯდომარემ კრებას მოახსენა ამხ. შამშე ლეჟავას ჩამოსვლა და კრების საგანი, რის შემდეგ სთხოვა ამხ. შამშეს ტრიბუნაზე ასვლა. როგორც კი ამხ. შამშე წავიდა ტრიბუნისკენ დარბაზში ერთსულოვანი ტაშის ხმა გაისმა, რომელიც დიდხანს არ შეწყვეტილა. ამხ. შამშე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სანამ დღიურ საკითხს შეუდგებოდა მოკლეთ გადასცა თავის შთაბეჭდილებები რუსეთის დღევანდელ ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ. ამის შემდეგ იგი შეუდგა საერთაშორისო წითელი პროფკავშირების კონგრესის მუშაობის განხილვას. ჩამოთვალა ის საკითხები, რომლებიც იყო კონგრესის მიერ განხილველი და გადაჭრილი. ყველა ცალ-ცალკე გაარჩია, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და ხაზი გაუსვა შემდეგ სამ საკითხს: 1. საერთაშორისო ეკონომიური კრიზისი, ამოცანები და ტაქტიკა პროფკავშირებისა 2. საორგანიზაციო საკითხი და 3. დამოკიდებულება წითელ პროფკავშირებს და მე-3 ინტერნაციონალს შორის. ამ უკანასკნელ სამი საკითხის გარჩევის დროს ამხ. შამშემ მოკლეთ გადასცა კრებას პროფკავშირების ისტორია მსოფლიო მასშტაბით, მათი მუშაობა და მიზნები წინათ და ახლა. ყვითელ პროფკავშირების შემადგენლობა ერთი წლის წინეთ და ახლა, საიდანაც ნათლად სჩანს თუ რა ჩქარი ტემპით იზრდება წითელი პროფკავშირები რუსეთში და ევროპაში, როგორ უნდა მოეწყოს წითელი პროფკავშირები, რა გეგმით უნდა სწარმოებდეს მათი მუშაობა, როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს წითელ კავშირებს და მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალთან და და რა მნიშვნელობა აქვს წითელ პროფკავშირების მუშაობას საერთაშორისო კრიზისის დასაძლევათ. მთელ თავის მოხსენების დროს მომხსენებელი ეხებოდა კომინტერნის მუშაობასაც და მის თანდათანობითი გაძლიერებას. ამხ. შამშემ ლამაზათ დაასრულა მეტათ შინაარსიანი და საყურადღებო მოხსენება რასაც დაუსრულებელი ტაში და ოვაციები მოჰყვა. მოხსენების გათავების შემდეგ კრების ერთი წევრი აძლევს მომხსენებელს შეკითხვას თუ როგორია ახალი კურსი ნატურალურ გადასახადის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამხ. შამშე ძლიერ ვრცლათ ეხება საკითხს, აშუქებს მას და აძლევს შეკითხვებს გადაჭრილ პასუხს. შეკითხვები აღარ არის. შემდეგ დაახლოვებით შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ფოთის პროფკავშირების საერთო კრებამ მოხსენება ამხ. შამშე ლეჟავასი საერთაშორისო წითელ პროფკავშირების კონგრესის მუშაობის შესახებ, მხარს უჭერს მას და მთელ თავის ძალღონეს არ დაიშურებს მის განმტკიცებისათვის. ფოთის პროფკავშირი სწყვეტს ყოველგვარ დამოკიდებულებას ყვითელ პროფკავშირებთან. გაუმარჯოს საერთაშორისო წითელს პროფკავშირებს, გაუმარჯოს მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს. რეზოლიუციას კრება ერთხმათ ღებულობს. ამის შემდეგ თავმჯდომარე კრებას აძლევს წინადადებას დაშლის წინ იმღერონ ინტერნაციონალი, რომელიც მწყობრათ და გუგუნით შესრულდა. საზოგადოება მეტათ ნასიამოვნები დაიშალა.

მიუხედავათ იმისა, რომ ფოთი თვალსაჩინო მუშათა ცენტრია აქ იშვიათად თუ ვინმე ჩამოდის ცენტრიდან მოხსენებებით, საჭიროა მას მეტი ყურადღება ექნეს მიქცეული და ცენტრის ამხანაგები აქეთკენ ხოლმე დრო გამოშვებით მოხსენებებს სხვა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ილ. კიკნაველიძე.

გურია

ერთი თვეა მას შემდეგ, რაც ოზურგეთში შესდგა სამაზრო ნატურალურ გადასახადის კომისია, რომელმაც უკვე დღიდან არჩევისა დაიწყო ენერგიული მუშაობა. უპირველესად ყოვლისა ოზურგეთში გახსნა სამ დღიანი კურსები რაიონის ინსტრუქტორთათვის. ამ უკანასკნელების მოვალეობას შეადგენს რაიონის ყველა სოფლებში აარჩიონ კომისია, გააცნონ მათ ვის რამდენი უნდა გადაიხადოს და შეავსონ ბლანკები.

რაიონებიდან ცნობა მოვიდა, რომ უკვე შეუვსიათ სია, მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შეუგნებელმა და მავნე პირებმა კომისიას ყალბი ცნობა მიაწოდეს, როგორც ნათესის მიწების სივრცისა, აგრეთვე მოსავლისა და პირუტყვების შესახებ. ამ ყალბი ცნობების გასაბათილებლათ და საქმის სასწრაფოთ გამოსარკვევათ, სამაზრო ნატურალურ გადასახადის კომისიის, სამაზრო პარტკომის და რევკომის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა: გაიგზავნონ ყველა რაიონებში კონტროლიორები, რომლებსაც ევალებათ მოახდინოს თემებში პარტიული კრებები, სადაც აირჩევენ საკონტროლო კომისიას, და ნატურალურ გადასახადის კომისიის ინსტრუქტორს, სოფლის მიერ არჩეულ კომისიისა და რევკომის წევრის თანადასწრებით უნდა მოხდეს ფაქტიური რევიზია სინამდვილის გამოსარკვევათ. აღმოსავლეთ გურიაში კონტროლიორებით გაიგზავნენ შემდეგი ამხანაგები: ხიდისთავის რაიონში—ვარდენ კალანდაძე, [illegible]—თეოფილე ჩიჩუა, [illegible]—ტარასი მგალობლიშვილი, [illegible] მენაბდე, სურების—ელიზბარ კალანდაძე.

ჩემის აზრით უკანასკნელი ასეთი გადაწყვეტილება მიზან-შეწონილია. ამით ირკვევა ათასგვარი ბოროტმოქმედება და დანაშავენი, თანახმად საქართველოს რევკომის დადგენილებისა, მიეცემიან პასუხისგებაში.

უ. რაზმიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 76.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა. სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს დაარსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რეს. რევოლიუციონური კომიტეტი სცნობს რა აუცილებლად,—ვიდრე სახალხო მოსამართლეთა საბჭო მოეწყობოდეს იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო სასამართლოს დებულებით,—დაარსებულ იქნეს საკასაციო ინსტანცია სასამართლოს დაუსრულებელ საქმეთა დასამთავრებლად,—ადგენს:

1. დაარსდეს სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და ოთხი მუდმივი წევრისაგან.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და წევრებს ჰნიშნავს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წარდგენით, როგორც რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან, ისე იმ პირთაგან, რომელნიც აკმაყოფილებენ სახალხო მოსამართლედ არჩევისათვის საჭირო მოთხოვნილებას.

3. გარდა იმ წესისა, რომელიც—გამოხატულის სახით წინა მუხლშია აღნიშნული, სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს მოწყობისა და მისი მოქმედების დროს სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს დებულების მესამე განყოფილება.

4. სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები შეიძლება ხელახლად არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლეთა საბჭოში სახალხო მოსამართლეთა ყრილობისაგან და დამტკიცებულ—საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ.

5. სახალხო მოსამართლეთა მუდმივ საბჭოს შედგენილობის არჩევის შემდეგ სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო უქმდება იუსტიციის სახალხო კომისარის ბრძანებით.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხ. ქავთარაძე.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე [illegible]

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი სასახლე.

დეკრეტი № 77

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა. ქალ. ბათუმში საზღვაო სკოლის დაარსების შესახებ.

1. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებით დაარსებულ იქნეს ქალაქ ბათომში საზღვაო სკოლა.

2. სკოლის შტატისა, დებულებისა და პროგრამის შემუშავება დაევალოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხ. ქავთარაძე.

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 88

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა. სტენოგრაფისტთა აღრიცხვის შესახებ

საქართველოში მცხოვრებ სტენოგრაფისტების მიზანშეწონილად გამოყენებისა და ჯეროვანი განაწილებისათვის იმ დაწესებულებათა შორის რომელთათვისაც იგინი საჭირონი იქნებიან,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს დაუყონებლივ აღრიცხვა საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა სტენოგრაფისტისა.

2. აღრიცხვა და აღრიცხვისათვის წესის შემუშავება დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს.

3. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება მიეცეს ამა თუ იმ სათანადო დაწესებულებათ მოთხოვნილებისა დაკვალად,—წარავლინოს სტენოგრაფისტები ამ დაწესებულებებში სავალდებულო სამსახურისათვის.

4. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხ. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 89

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა. საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ.

1. ყოველი ბიბლიოთეკა, როგორც განათლების სახალხო კომისარიატის გამგეობაში მყოფი, ისე სხვა უწყებისა, დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციისა,—გარდა აკადემიურისა,—გამოცხადებულ იქნეს საყოველთაო გამოსაყენებლად და ერთ საბიბლიოთეკო ქსელად შეერთებული მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში,—გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგეობას (პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს).

2. ყოველი ბიბლიოთეკა, რომელიც შევა ერთ საბიბლიოთეკო ქსელში (გარდა სპეციალურისა) მიიღებს საჭირო მასალებს ადგილობრივი კოლექტორების საშუალებით, რომელი კოლექტორებიც მოწყობილია ბეჭდვითი ცენტრის განყოფილებასთან და მოქმედებს პოლიტიკური განათლების საბიბლიოთეკო სექციის ხელმძღვანელობით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხ. ქავთარაძე.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე კანდელაკი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი-სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ბულვარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკ—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან [illegible] ნაშუადღევის 2 საათამდის.

პროფესიული

საქართველოს სამედიცინო-სასანიტარო პროფკავშირი ღრმა მწუხარებით აუწყებს საქართვ. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთ. 27 ოქტომბერს ფოთის რაიონის სამედიცინო სასანიტარო პროფკავშირის რწმუნებული ამხ. ალექსანდრე შმაკოვის, ტრაგიკულად გარდაცვალებას.

კავშირის გამგეობა.

ფოთის სამედიცინო-სასანიტარო კავშირის საყურადღებოდ. დეპეშის დაგვიანებამ არ მოგვცა საშუალება ექიმის შმაკოვის ტრაგიკულად დაღუპვა გვეცნობებინა გაზეთების საშუალებით საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის.

კავშირის გამგეობა.

პარტიული

1 ნოემბერს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში (ოლღას ქუჩა № 29). შესდგება მე-4 რაიონის კომუნისტურ უჯრედების მდივნების თათბირი. დღის წესრიგი: 1) მუშათა კოოპერაციაზე, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) ცირკულიარები, 4) მიმდინარე საქმეები.

ყველას დასწრება სავალდებულოა. ვინც არ გამოცხადდება, პასუხს აგებს თანახმათ ცირკულიარისა № 32.

შრომის ინსპექტორთა კურსები

ა. წ. 1 ნოემბერში იხსნება კურსები შრომის ინსპექტორების მოსამზადებლად.

მეცადინეობა კურსებზე იქნება ყოველ დღე დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე (მუშათა სასახლის შენობაში მე 5 სართული, ს. პ. კ. ს. საერთო კრების დარბაზში).

ის პირნი, რომელნიც ამორჩეულნი იქნებიან კურსებზე მსმენელებად განთავისუფლებულნი უნდა იქნენ სათანადო დაწესებულებების და წარმოებათა მიერ თავიანთი ჩვეულებრივი მუშაობისაგან, კურსებზე დასასწრებად.

ს. ს. კ. შრომის დაცვის განყოფილების გამგე ლ. ედიბაძე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მარკების ნიმუშების დამზადებაზე დანიშნულ კონკურსის ვადა გაგრძელებულია 20 ნოემბრამდე 1921 წლისა.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.

ტირაჟი 10.000 [illegible]